



ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia



აღმოსავლეთ პარტნიორობის
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის
საქართველოს ეროვნული პლატფორმა

მესამე სამუშაო ჯგუფის შეხვედრა

თარიღი: 30 ივლისი 2020 წელი

დრო: 16:00 -18:00

შეხვედრის ადგილი: Zoom

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. ნინო ჩხობაძე - საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები-საქართველო
2. მურმან მარგველაშვილი - მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის
3. ლაშა ტულუში - ლიბერალური აკადემია თბილისი
4. მანანა დევიძე - ფონდი კავკასიის ეკოლოგია
5. ნუგზარ უფლისაშვილი - საქართველოს ენერჯო-რესურსების ეფექტურად გამოყენების ასოციაცია
6. რუსუდან სიმონიძე - საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები-საქართველო
7. გიორგი მუხიგულიშვილი - მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის
8. გიორგი ძამუკაშვილი - სათემო ფონდი "ადგილის დედა"
9. ქეთევან ცხაკაია - იმერეთის მხარის მეცნიერთა კავშირი „სპექტრი“
10. ანზორ დუნდუა - საქართველოს ენერჯო-რესურსების ეფექტურად გამოყენების ასოციაცია
11. ნატო არღვლიანი - „ქართველებს, აფხაზებსა და ოსებს შორის მშვიდობის სამოქალაქო პლატფორმა“

განსახილველი საკითხები:

1. ცვლილება ენერგეტიკის და წყალმომარაგების კანონში და მისი შესაძლო გავლენა ენერგეტიკის სექტორზე - 15წთ
2. ჰიდროსადგურების მშენებლობასთან დაკავშირებით დასმული საკითხების განხილვა - 30 წთ
3. მე-3 სამუშაო ჯგუფის პოზიციის განხილვა „ COVID 19 და შემდგომი ქვეყნის შემდგომი განვითარების შესახებ“ დისკუსია - 30წთ

მესამე სამუშაო ჯგუფის შეხვედრა გახსნა ჯგუფის კოორდინატორმა, ნინო ჩხობამემ. მან ჯგუფის წევრებს გააცნო შეხვედრის დღის წესრიგი და განსახილველი საკითხები.

თავდაპირველად სამუშაო ჯგუფის წევრებმა ისაუბრეს რაჭაში მომხდარი სტიქიის შესახებ. განიხილეს გამომწვევი მიზეზები, სტიქიის მასშტაბები და რეგიონში დღეს არსებული მდგომარეობა შეაფასეს. განიხილეს სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანისა და მასშტაბების მოცულობა და ისაუბრეს იმ მიზეზებზე, რასაც შეეძლო გამოეწვია მსგავსი შედეგები.

შემდეგ საკითხად ჯგუფის კოორდინატორმა, მურმან მარგველაშვილმა, ისაუბრა ენერგეტიკისა და წყალმომარაგების კანონპროექტებში განხორციელებულ იმ ცვლილებებზე, რომელიც მეტად პრობლემურია. მან ასევე ისაუბრა ზოგადად კანონების მიმართ არსებული დამოკიდებულების პრობლემაზე. კონკრეტულად განხილული იყო ცვლილება „მოწყვლადი მომხმარებლების დაცვის“ ნაწილში. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ კანონში ცვლილების შეტანა უნდა განორციელდეს კონკრეტული პროტოკოლის დაცვით.

შეხვედრაზე ასევე განიხილეს ჰიდროსადგურების მშენებლობის საკითხები. კლიმატის ცვლილების ფონზე, მნიშვნელოვანია გადახედილი იყოს სამშენებლო სტანდარტები. აღნიშნული საკითხი აქტუალურია არა მხოლოდ ჰიდროსადგურების მშენებლობასთან დაკავშირების, არამედ ზოგადად, საცხოვრებელი სახლების მშენებლობის საკითხებთან დაკავშირებითაც. პრობლემურია ხიდების საკითხი და მასთან დაკავშირებული სამშენებლო სტანდარტებიც.

ჯგუფი შეხვედრაზე განიხილეს პოზიციის დოკუმენტის სამუშაო ვერსია, რომელიც შემუშავებულია ჯგუფის კოორდინატორის, ნინო ჩხობაძის მიერ, „COVID 19- ის გავლენის შესახებ. სამუშაო ჯგუფის კოორდინატორებმა, თავიანთი მანდატის ფარგლებში, ჯგუფებთან და ქვეჯგუფებთან ერთად უნდა

შეიმუშავონ მინიმუმ 3 პოზიციის დოკუმენტი, სამ სხვადასხვა საკითხზე. ჯგუფის წევრებს, მიეცათ ორდღიანი ვადა, რათა დააფიქსირონ თავიანთი პოზიცია აღნიშნულ დოკუმენტში. ამის შემდეგ დოკუმენტს მიეცემა საბოლოო ფორმა და დამტკიცდება სამუშაო ჯგუფის წევრების მიერ.

შეხვედრის მდივანი: ქეთევან ჭურაძე